№ 710 შაბათი, 22 დეკემბერი. 1896—1898 შაბათი, 22 დეკემბერი № 710

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალი ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.
Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
## გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ვინც ამ თავითვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

## ქართველნი მწერალნი

ახლად დაიბეჭდა ფოტოტიპიური სურათი ქართველთ მწერლებისა.

სულ ოცის მწერლის სურათია საუკეთესო ბრისტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი

ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში, თითოეული სურათი 75 კაპიკად.
ვინც ნაღდ ფულზე იყიდის არა ნაკლებ 10 ცალისას, თითოეული სურათი დაეთმობა 50 კაპ. ვინც ფოსტით გამოიწერს სურათს, გაგზავნის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს. ყოველ ცალზე ფოსტის ხარჯად 15 კაპ. უნდა დაემატოს. ფული შეიძლება ფოსტის მარკებითაც გამოგზავნონ. ამ სურათის გასყიდვისაგან შემოსული ფულის 10% გადადებულია „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ.
ადრესი: Тифлисъ, фотографія А. Ройнова, А. Нордштейну.
(10—8)




ღვინის სარდაფი

## „იყალთო"

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ. „როსსიას" ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავლენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

## „იყალთო"

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князей Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
**„ИКАЛТО"**
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Антонова, подъ гост. «Россія» (75—42)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

## იმერული სცენები

შეკრებილი კ. მესხის მიერ
ფასი 5 კაპ.
ვინც „ცნობის ფურცლის" რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ მანათად დაეთმობა. (12—6)

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—67)

## კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე
მიხეილის ქუჩა № 32
(30—26)

კავკასიაში

## ქართული წიგნებით ვაჭრობას

მთავრობის ნებადართვით ვხსნი ამ დღიდან, ამისთვის უმორჩილესად ვთხოვ ქართული წიგნების გამომცემლებს, თავიანთი გამოცემანი გამოგვიგზავნონ საკომისიოდ გასასყიდლად დაკლებით არა ნაკლებ 20%.
ადრესი: Владикавказъ. Ивану Семеновичу Месхіеву.
პატივისცემით ივანე მესხიევი

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
**Докторъ медицины и хирургъ**
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

ხლად შემდგარი სურამის მეეტლეთა ამხანაგობა

## „კავშირი"

იწყებს თავის მოქმედებას პირველ ნოემბრიდან.
ეტლთა მიმოსვლა არის შედარებით ... და მატარებლის მიმოსვლასთან. სურამიდან გადის ომნიბუსი ქ. ფოთში დილის 10 საათზე, ბრუნდება 6 საათზე საღამოს.
ფასი დაწესებულია ერთი მანეთი
ამხანაგობის გამგე ბ. შ. კომასიძე
(15—13)

## ახალი ამბავი

*** და-მმა სომხურ ენაზე. დღეს სათავად-აზნაურო თეატრში სომ-

ხური დრამატიული დასი თამაშობს ისტ. დრამას „და-ძმას,“ რომელიც სომხურ ენაზე გადაუთარგმნია ტერ-დავიდოვს. გაიოზის როლს თამაშობს ახალგაზდა არტისტი ხარაზიანი, მარინეს ქ-ნი ზაბელი და ოტიას სცენის-მოყვარე.

* * ოპერეტა სათავად-აზნაურო თეატრში. რუსული ოპერეტა უკვე ჩამოსულა და პირველი წარმოდგენა გაიმართება შობის მეორე დღეს, წარმოდგენილი იქნება „მასტინ რუდკოპი“.

* * უმაღლესი ბრძანება ოქროს ფულის შესახებ. გამოქვეყნებულია შემდეგი უმაღლესი ბრძანება: ოქროს ფულის ხმარების გასაადვილებლად, ჩვენ სასარგებლოდ ვცანით მოიჭრას და სახმარებლად გავიდეს, გარდა თხუთმეტ მანეთიანისა, 7 მანეთ ნახევრიანისა და ხუთმანეთიანისა,—ოქროს თუმნიანიც. როგორც კი ოქროს თუმნიანი მზად იქნება, უნდა გავიდეს სახმარებლად.

პოლიციის საჩუქარი. ტფილისის გუბერნატორმა ნება მისცა პოლიცმეისტერს, კანცელარიაში მონარჩენი ფული საჩუქრად მიეცით პოლიციაში მოსამსახურე პირთათ.

* * მოწაფეთა ჯილდო. ტფილისის 1-ლ სავაჟო გიმნაზიის ქართველ მოწაფეთა შორის პირველ ხარისხის ჯილდო მიიღეს: ვლადიმირ გაბაშვილმა, ვახტანგ ზარაფიშვილმა და ილია სეხნიაშვილმა. ხოლო მეორე ხარისხისა: ნიკოლოზ კობიაშვილმა, სიმონ გრძელიშვილმა და ვახტანგ მათინაშვილმა.

* * ჭიათურის რკინის გზა. ს. ჭიათურაში უკვე შესდგომიან რკინის გზის შტოს გაყვანას ამ სოფლიდან, მდ. ჯრუჭულამდე. იმ თანხიდან რომელიც ხელთ აქვთ შავი ქვის მწარმოებელთ, გადადებულია ერთი ნაწილი გზების გასაყვანად სოფ. შუქრუთიდან და პერეკისიდან ჭიათურის შტომდე. იმავე თანხიდან გადადებულია რამდენიმე ათასი მანეთი ორი შენობის ასაგებლად—პოლიციის ბოქაულისა და საავადმყოფოსთვის. პირველი შენობა უკვე მზადაა, ხოლო მეორეს ამ ჟამად ამთავრებენ. საავადმყოფო დროებით მოთავსებულია იმავე შენობაში, სადაც აფთიაქია. საავადმყოფოს ჰყავს ორი ფერშალი, ექიმი კვირაში ორჯერ მოდის.

* * ტყის დარაჯთა გამრავლება. როგორც ისმის, სატყეო დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გამრავლებულ იქმნეს ტყის დარაჯთა რიცხვი შავი ზღვისა და ქუთაისის გუბერნიებში.

* * ბაკურიანის რკინის გზა. ბაკურიანის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა, განზრახვა აქვთ, გაიყვანონ ს. წაღვერამდე. ამ გზაზე წესიერი მიმოსვლა დაიწყება მომავალ წლის დამლევიდან.

* * სენატის განმარტება. სენატმა განმარტა, რომ ქალაქის ქუჩების გაკეთება და დაწმენდა-დასუფთავება შეადგენს თვით სახლის პატრონთა ვალდებულებას, თუმცა ის მიწები, რომლებიც ქუჩებს, მოედნებს და სხ. აქვს დაჭერილი, ქალაქის საკუთრებად ირიცხება.

* * ტარიფის შემცირება შავ ქვაზე ფინანსთა სამინისტროს სატარიფო კომიტეტმა დაადგინა: შემცირებულ იქმნეს ჭიათურის გზით შავი ქვის გადასატანი ტარიფი 3 კაპიკით.

* * შუამდგომლობის შეუწყნარებლობა. ქალაქის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ საბჭოს სხდომების დარბაზში დაიდგას ტფილისის ქალაქის მოურავად ნამყოფის პ. ა. იზმაილოვის სახელი, სათანადო მთავრობამ არ შეიწყნარა.

* * სასმელებას დუქნების გაღებაზე. მოწმობების გაცემა დაიწყება იმის შემდეგ, როცა დუქნებს სანიტარულ მხრით სახეიროდ იცნობენ და როცა ამ დუქნების გაღებაზე პოლიცია და სააქციზო უწყება თანხმობას განუცხადებენ.

* * ქაღალდის ქარხანა ტფილისში. არსდება კავკასიის ქაღალდის ქარხნის სააქციონერო საზგადოება, რომელსაც ძირის თანხად აქვს ნახევარი მილიონი მან. დამფუძნებელნი არიან თუმანოვი, ადამოვი და აკოფოვი ქარხანა გაიმართება ტფილისში.

* * მთავარ-მართებლის სადილი. 19 დეკემბერს კავკასიის მთავარმართებლის სასახლეში გაიმართა სადილი, რომელზედაც მიწვეულ იქმნენ სომეხთა-კათალიკოსი მკრტიჩ პირველი, ტფილისის სომეხთ-გრიგორიანთა ეპარქიის უმფროსი, მთავარ-ეპისკოპოსი სურენიანცი, არქიმანდრიტი კირიონი და წარჩინებული პირნი.

* * გ. პ. გაბაშვილის გამოფენა. ცნო- ბილი ქართველი მხატვარი გ. პ. გაბაშვილი შობა- დღეს გამართეს თვის ნაწარმოებთა გამოფენას სამხედრო მუზეუმში.

* * † ა. ი. შაჰ-აზიზოვი-კამსარაკანი. 19 დეკემბერს ტფილისში გარდაიცვალი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ა. ი. შაჰ-აზიზოვი კამსარაკანი საბჭოს ხმოსანი, რომელიც სამოცდა მეათე წლების დამლევიდან ცხოველ მონაწილეობას იღებდა ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის საქმეებში სასმელების დუქნების გაღებაზე.

* * ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1) „პოემების კრებული“, რომელშიაც მოთავსებულია სამი პოემა: „აჩრდილი“—ილ. ჭავჭავაძისა, „მომაკვდავის ჩვენება“—აკ. წერეთლისა და „იმედი“—ვახტ. ორბელიანისა. წიგნი გამოცემულია მ. ლალიძის მიერ, დასტამბულია სუფთად და ლამაზად კარგ ქაღალდზე, შეიცავს 48 გვერს მომცრო ზომისას და ღირს ერთი შაური.

2) Тифлисскій Настольный Календаръ На 1899 г. Годъ IV. გამოცემა ვ. ა. გერცენშტეინისა.

* * „მოამბე“ №XI. ჩვენ მივიღეთ ჟურნალი „მოამბე“ ნოემბრის წიგნი შემდეგის შინაარსისა: I „სიხარულმა ელდა იცის“—ერთმოქმედებიანი კომედია, გადმ. ლ—გ.-მიერ, II „დამონებულნი“—რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. ვაზოვისა, თარგმანი, III „ჯალათი“—მოთხრობა, ემილია პარდო-ბაზანისა, თარგმანი, IV „გლეხიკაცის ისტორია“—ნაწილი მეოთხე—ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა, V „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები—LVII, LVIII, LIX, LX, ალ. ს—შვილისა, VI „სიცოცხლე და მისი კანონი“—ვ. მოსეშვილისა, VII „აფხაზები (დიდრიფში)“—(ეტნოგრაფიული მასალები), ნიკო ჯანაშიასი.

* * სვანეთი. სვანები ზამთრის პირად. აგერ თითქმის ორი თვეა, რაც სვანეთში, გარდა ერთი დღისა ნამი არ ჩამოვარდნილა. ის ერთი დღე 8 ნოემბერი კი სწორედ ზამთრის დღე იყო, ცოტა თოვლი სოფლადაც მოაყოლა და მთები ხომ სულ ერთიანად დაფარა. იშვიათია ასეთი კარგი დარები ამ დროს სვანეთშიო, ამბობენ. სამაგიეროთ ღამ-ღამობით ძრიელ ყინავს. ამ კარგი ამინდის წყალობით სვანერ ხვნა-თესვას თითქმის ყველანი მორჩნენ და რადგან აქ ზამთრობით სხვა სამუშაო არაფერი აქეთ, გროვა-გროვად მიემგზავრებიან იმერეთ-სამეგრელოსაკენ სამუშაოდ. მხოლოდ ლახამულელები არ მიდიან სამშობლოს გარეთ სამუშაოდ, მაგრამ სახლში კი არც ესენი იცდიან. ზამთარზაფხულს ეგენი ეგრედ წოდებულ „ლენხერიაში“ ატარებენ. ლენხერა ლახამულერის და საზოგადოთ ჩუბევის მეორე სამშობლო სოფელია. არის გაშენებული ენგურის ხეობაზე, 2—3 დღის სავალზე ლახამულიდან. აქ არის ამათი სიცოცხლე და ამიტომ მთელი ოჯახი თუ არა, ნახევარი მაინც, მუდამ იქ არის გარდა დიდი დღესასწაულებისა და ალების ღამეებისა, როცა ყველა თავს მოიყრის და ერთად მიეცემიან უთავბოლო ლხინს.

საზოგადოდ სვანეთში სახნავსათესი მიწა ყველას არ აქვს საკმაოდ და ლახამულებს ხომ სულ არ მოეძევებათ. ამიტომ ლახამულელები იძულებულნი არიან წავიდნენ არა იმერეთში ფულის საშოვრად, არამედ თავიანთ ლენხერაში წლის საზრდოს მოსაპოვებლად. აქ როგორც ამბობენ ბუნება მდიდარია: პური და სიმინდი კარგი მოდის. ნიგოზი, თაფლი და ანწლის არაყი აუარებელია, ურომლისოდაც აქაურებს სიცოცხლე-სიცოცხლედ არ მიაჩნიათ.

— უგზოობა. ბუნებისაგან რომელიმე ქვეყანა თუ არის დასჯილი, ეს პირველად სწორედ სვანეთია. აქაური ხანგრძლივი ზამთრის გამო მისვლა-მოსვლა სხვა ქვეყნებთან კი არა, სვანეთის სოფელშიც კი შეუძლებელია. ერთი სოფლიდამ მეორეში ოთხი-ხუთი გზა მიდის, მაგრამ იმათგან ერთიც არ ვარგა. აქ ცხენი და ადამიანის გზა კი არა, წვრილ-ფეხა ცხოველების გზაა,—მაგალითად თხისა, მაგრამ ეს აბა, რა გზა უნდა იყოს! თხა ხომ ხეზედაც კარგად და უშიშრად გაივლის. ასეთი უგზობის გამო არის შეწუხებული, ვინც კი მთებ შუა არის მომწყვდეული. კაცმა რომ სთქვას, არც ისე ძნელი არის აქ სოფლიდან-სოფელში მისავალი გზის გაყვანა. ერთხელ რომ ვის[...] ხეირიანი პლანი გაეტანა და პოლიციის მუშის გამოწვევაზე ეზრუნა, ეხლა ჩინებული გზა იქნებოდა სოფელში. მაგრამ დღემდე პოლიციაც ნაკლებად იტკივებდა თავს ამ საქმისთვის და ხალხიც. დღეს-კი თქვენდა საბედნიეროდ, სვანეთის ბოქაული ძლიერ მონდომებულია, რომ ერთი ხეირიანი გზა გაიყვანოს და მით ერთი მეორესაგან მოწყვეტილი სოფლები შეართოს. ერთი გზის მეპლანე ლეჩხუმიდან კიდევაც ჩამოვიდა, წამალს და იარაღს ხაზინა ბევრს აძლევს, მაგრამ გაზაფხულამდე აქ მუშაობა არ შეიძლება, ისე მიწა გაყინულიო და ისევ დაბრუნდა გაზაფხულისთვის კი დაგვპირდა ყოველივე სიკეთეს, თუ მივაღწიეთ იქამდის. ღმერთმა ქნას, ვისაც რამე შეუძლია, ხელი გაეწყოს გაჭირვებული სვანეთისათვის ბევრს იმის იმედიც აქვს, სვანეთში ვერცხლის და სპილენძის მადანი ჩნდებაო და მაშინ ცხენის კი არა რკინის გზასაც გააკეთე-

ზენო, მაგრამ ეს ვინ იცის, როდის იქნება, და ან იქნება კი? ამისთანა იმედებით სვანელები ვერ იცხოვრებენ: სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძვრესო, ისე მოუვა მათ თუ დროზე არ უშველეს თავს.

— ავადმყოფობა. ცხმორში აგერ ერთი თვე იქნება, რაც ყვავილი გაჩნდა და ერთი დედაკაცი იმსხვერპლა. ავადმყოფობამ სკოლასაც შეუშალა ხელი. უცნაურია! სვანებს ამ ავადმყოფობის დარიდება არა სცოდნიათ. რომელ სოფელშიაც გაჩნდება, მიდიან სანახავად და სთხოვენ: ინებე ბატონებო ჩემი ან სიკვდილი და ან წვალება ერთი ორ კვირეს მაინცაო. ფერშალი დადის, მაგრამ დეზინფექციის გაკეთებას ვერსად ბედავს; აცრითაც არავინ იცრის.

ლახამულა

*** **ქუთაისი.** ხელოსანთა არჩევნები. 14 დეკემბერს, ხელოსანთა გამგეობის სადგომში მოხდა ხელოსანთა კრება, რომელზედაც იქმნენ არჩეულნი ხელოსანთა თანაშემწეებად, ბ.ბ. ი. ქეიშვილის და იაგ. ამაშუყელის მაგიერათ, ბ. ბ. ი. ხოჯაშვილი და ფ. ხელაძე. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ ქუთაისის ხელოსნებმა, რომ ახლად არჩეული თანაშემწეები ყოველივე ღონეს იხმარებენ თავიანთ მოძმეთა საკეთილდღეოდ, ძველ მოხელეებზე გულ-გატეხილთ მაინც დაგვანახვებენ კეთილ ღვაწლს და გამოაშკარავებენ ბნელ კუნჭულში მიმალულ ცოდვა-მადლს.

ანტონაშვილი.

*** **ს. ბასილეთი.** (გურია) სწავლა-განათლების საქმე ეს სოფელი სწავლა-განათლებით გურიის სხვა სოფლებზე წინ თუ დგას, თორემ არა უკან. აქაურ გლეხს მჭადიც რომ არ გააჩნდეს, შვილს მაინც აბარებს სკოლაში.

აქ არის ორ კლასიანი სასწავლებელი. ის სასწავლებელი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ამის გამო ბ. შარაშიძემ და ბ. კიკალიშვილმა მესამე მასწავლებელი მოიწვიეს და მიიღეს კიდევ რამოდენიმე ბავშვი ახლა აპირებენ სკოლის გადაკეთებას. ხაზინაც ეწევა რამოდენიმედ. გარდა ამისა ოლიმპია და კიკალიშვილის ქალს საკუთრად აუყვანია ქალიშვილები და ასწავლის წერა-კითხვას და ხელსაქმეს ენერგიულად შრომობს მოწაფეთ შეძლებისა დაგვარად ახდევინებს სასყიდელს და ღარიბს უფასოდაც ასწავლის. სწორედ მადლობის ღირსია ქ-ნი კიკალიშვილის ქალი! ქართული წერა-კითხვა და ხელსაქმე ჩვენი ქალებისათვის აუცილებლად საჭიროა. შარშან და წრეულს ამ პატივცემულმა მანდილოსანმა სამოცამდე ქალიშვილებს შეასწავლა წერა-კითხვა..

ხიდისთაველი.

*** **ს. მარტვილი.** მადლობის გამოცხადება. როგორც მკითხველებმა იციან, შარშან ამა დროს ბ. თეიმურაზ ივანეს ძე თოფურიამ ზოგი სხვისგან შეწირული და ზოგიც კერძო პირებთაგან მის მიერ შეკრებილი ასი მანეთი ფული წარმოუგზავნა ჩვენს მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითველოს შესაწერად. ამ პატივ-ცემულმა პირმან ამ შემწეობის არ აკმარა და ეხლაც ამა-წლის საწევრო ხუთი მანეთი ფული და რვა ყველა ახალ ყდიანი ქართველ გიმოჩენილ მწერლებთა შემდგარი წიგნებიც ღირებული თორმეტი მანეთის სამკითხველოს წარმოუგზავნა. მასთან მის საშუალებითვე კიდევ მივიღეთ თორმეტი ქართული წიგნები ღირებული მანეთ ნახევრად ხსენებულ სამკითხველოს საპატიო წევრის კონსტანტინ თავართქელაძისაგან წამოგზავნილი. გამგეობა სამკითხველოსი დიდს მადლობას უცხადებს ორთავე საპატიო წევრთ და განსაკუთრებით ბ. თეიმურაზ თოფურიას, რომელიც სამკითხველოს წევრთა შორის ასე სამაგალითოდ იქცევა. ღმერთმან ინებოს სხვებმაც მიბაძოს ამ მოღვაწე პირს, გამგეობა სამკითხველოსი თქვენი გაზეთის საშუალებით ბ. რედაქტორო! განმეორებით უმორჩილესად სთხოს ყველა წევრთ ხსენებული სამკითხველოსას ამა მდგომარე წლის საწევრო ფული დაუყონებლივ წარმოუგზავნონ სამკითხველოს გამგეს სახელზე, რადგან ამ ჟამად სამკითხველოს დიდად ესაჭიროება ფული.

მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს წევრი და საქმეთა მწარმოებელი გიორგი გეგეჭკორი.

## სასამართლოს მატიანე

თავ. გ. ა. შალიკაშვილის და აზნ. ივ. მამაცაშვილის საქმე.

შაბათს, 19 ამ თვეს ვეებერთელა დარბაზი ტფილისის სამოსამართლო პალატისა გაჭედილი იყო ხალხით. ირჩეოდა საქმე გორის ს. სკრის ახალგაზდა ცოლშვილიანის თავ. გიორგი ალექსანდრეს ძის შალიკაშვილისა და გორისავე მაზრის ს. რუისის აზნ. ივანე ისაკისძის მამაცაშვილისა, რომელთაც ბრალდებოდათ ჟანდარმის ხოსუნის მოკვლის განძრახვა. ხსენებულ ბრალდებულთ ოლქის სასამართლომ გორში გარდასწყვიტა გადასახლება ტომსკის გუბერნიაში. აი შინაარსი ამ საქმისა: ამ წლის 12 ივლისს ნაშუადღევის 6 საათზე რკინის გზის სადგურის სკრის უფროსმა ზახარინმა შეამჩნია, რომ ვიღაც კაცი გაწოლილია ბაქანზე. ეს კაცი აღმოჩნდა ივ. მამაცაშვილი. ზახარინი მივიდა და უთხრა: ეგრე წოლა არ იქნება, ადექი და წადიო. ამაზე მამაცაშვილმა სიტყვით შეურაცხყოფა მიაყენა ზახარინს, ამის გამო ისინი შეიტაკნენ და საქმე ასე დაბოლოვდა: მამაცაშვილმა ხანჯალი იძრო, ხოლო ზახარინი გაიქცა, დაუძახა ჟანდარმს ხოსუნს, რომლის მოსვლაზე მამაცაშვილიც გაიქცა სოფლისაკენ. ხოსუნი გამოუდგა, უძახდა გაჩერდი, უნდა ოქმი შევადგინოო; ამაზე მამაცაშვილმა ამოიღო ხანჯალი და დაუყვირა: აბა ერთი მოდი, თუ შაშინვე არ მოგკლაო! ამ სიტყვებზე ხოსუნმა რევოლვერი გაისროლა ჰაერში და მამაცაშვილი გაიქცა.

ნახევარ საათის შემდეგ იმავე ადგილას მოვიდნენ იგივე მამაცაშვილი და თ. გ. ა. შალიკაშვილი. ეს უკანასკნელი მივიდა ხოსუნთან, ხელი ჩამოართვა და ჰკითხა, ეს რა ამბავი მომხდარა, მიამბე კარგათაო. ხოსუნმა დაიწყო თუ არა ლაპარაკი, მამაცაშვილი და შალიკაშვილი მისცვივდნენ მას და დაუწყეს ცემა ხელებით, გაჰქელეს ფეხებით და ბოლოს დასჩრეს რამდენსამე ადგილას ხანჯლებით; რევოლვერიც ესროლეს, მაგრამ ვერ მოარტყეს.

პალატაში თავმჯდომარეობდა ბ. ფრანცოვი, წევრებად იყვნენ ბ-ნნი კარნოვიჩი და ოპტოვცევი. ბრალსა სდებდა ბრალმდებელი ივანოვი. იცავდნენ შალიკაშვილს ნაფ. ვექ. ტერ-სტეფანოვი, მამაცაშვილს ნაფ. ვექილები როხლინი და გრეზენბერგი. ნაფ. ვექილმა დავა გამოუცხადა ხოსუნის მხრიდგან 6,500 მ., რომელიც ბოლოს დროს 2,000 მ. შეამოკლა.

დამნაშავედ არც ერთმა თავის თავი არა სცნო. ბრალმდებელმა ივანოვმა სთქვა, რომ არა გზით არ შეეძლო სასამართლოს შეემოკლებინა მეხუთე ხარისხით დამნაშავეთა დასჯაშიო. იგინი უნდა იყვნენ დასჯილნი 2 ნაწ. 1455 სტ. დასჯის დებულების ძალით.

ამ სიტყვების დროს ტუსაღი მამაცაშვილი სკამიდან გულ-შეწუხებული გადმოვარდა. საქმის გარჩევა შეაჩერეს, გაგზავნეს ექიმთან. ბოლოს, როგორც იყო მამაცაშვილი მოასულიერეს და საქმის გარჩევა განაგრძეს. ხოსუნის ვექილმა კოროლკოვმა წარუდგინა პალატას მოწმობა იმის შესახებ, რომ ხოსუნი კომისიამ ჯანსაღად იცნო და იგი დღემდის მსახურობს იმავე სამსახურში, რისთვისაც დავა შეამოკლა 2,000 მან.

შალიკაშვილის დამცველმა ტერ-სტეფანოვმა სთქვა: თქმა არ უნდა, რომ შალიკაშვილმა საზიზღარი დანაშაული ჩაიდინა, რისთვისაც იგი უნდა დაისაჯოს, მაგრამ გადასხვაფერება დანაშაულისა და სულ სხვანაირად ცილის დაწამება დანაშაულის შესახებ საპატიებელი არ არის. ამ პირთ სულ სხვა დანაშაულს სწამებთ. მოკვლა ხოსუნისა რომ სდომებოდათ, მოკლავდნენ კიდეც, და არ დაუწყებდნენ მას ხანჯლებით სიპტყით ცემას და რევოლვერს არ გაისროდნენ ჰაერში. თუ მორტყმევა უნდოდა შალიკაშვილს, როგორც კარგი მსროლელი მოარტყამდა კიდეც და ხანჯალსაც ადვილად ატაკებდნენ მუცელში, ისე რომ იგი ვერაფრივ ვერ გადარჩებოდა. მათ უნდოდათ მხოლოდ გაებერტყნათ ჟანდარმი იმის შეურაცხყოფისათვის, რომელიც მან მამაცაშვილს მიაყენა. დაჭრა გამოვიდა მხოლოდ შემთხვევით. სთხოვა იგი დაესაჯათ მხოლოდ 1533 სტ. დასასჯ. დებულების ძალით, როგორც მსუბუქი დაჭრისათვის და არა მოკვლის განზრახვისათვის.

მამაცაშვილის დამცველმა როხლინმა და გრეზენბერგმა გაატარეს იგივე აზრი რაც ტერ-სტეფანოვმა, მხოლოდ სთხოვეს მთლათ გამართლება დამნაშავისა. ნაშუადღევის 5-ს საათზედ 2½ საათის რჩევის შემდეგ პალატამ გარდაუწყვიტა ორივეს ყოველ-გვარი ღირსების ჩამორთმევა და გადასახლება საცხოვრებლად იმავე ტომსკის გუბერნიაში. ხოსუნის დავაზედ უარი განაცხადა.

ვრგნელი

## სასარგებლო ცნობა

ზნეობა და ჯან-მრთელობა *)

შესავალი. ისმინეთ, ქვეყანასა ზედა მცხოვრებნო ქვეყნიერნო, იყავით მდუმარებასა შინა და მიიღეთ პატივით მცნება მაღლისა.

ყოველგან, სადაცა ჰნათობს მზე და ჰქრის ქარი, სადაცა არს ყური სასმენელად და გონება გულისხმის საყოფელად, იყავნ რიგიანი ცხოვრება და რიგი ჭეშმარიტი პატივისცემასა შინა და აღსრულებასა.

ყოველივე არს ღვთისაგან. შემძლებლობასა მისსა არა აქვს საზღვარი. სიბრძნე მისი არს საუკუნო და მოწყალებასა მისსა აქვს უხვება დაუსრულებელი. იგი ზის ტახტსა ზედა თვისსა და სული ჰორისა მისისა აძლევს ყოველსა ქვეყანასა სიცოცხლესა. იგი შეახებს თითითა თვისითა ვარსკვლავთა

*) მოგაწვდით ცნობებს შესახებ ბუნებისა და ცხოვრებისა. ეს ცნობები ძველად მოფენილი იყო მთელს საქართველოში და საჭიროა ახლაც გავრცელდეს.

მ. ჯანაშვილი

და ვარსკვლავნი განაგრძელებენ სლვასა თვისსა მხიარულებით. იგი ვალს ფრთეთა ზედა ქართასა და ნება მისი აღესრულების ყოველთა ზედა კერძოთა ქუეყანისა. წესი, დიდებულება და მშვენიერება გამოვალს ხელისაგან მისისა. ხმა სიბრძნისა მისისა ცხადად ისმის ყოველთა შორის ქმნილთა მისთა, გარნა გონება კაცობრივი ვერ მისწვდების მას. წრფილი კაცობრივის გონიერების მეცნიერებისა მსგავსებს ძილსა: წრფილი დაბნელებს ხედვასა მისსა და მოატყუებს; გარნა სიბრძნე ღვთისა მსგავს არს ზეციერისა ნათლისა და გულისხმის ყოფა მისი არს წყარო ყოვლისა ჭეშმარიტებისა.

მართალ-მსაჯულება და მოწყალება არიან კვარცხლ-ბეკთა თანა საყდრისა მისისათა; კეთილ-ნაწილობა და სიყვარული არს გამოხატული ყოველთა ზედა კვალთა მისთა.

ვინ არს მსგავს ღვთისა, რომელიცა შეიმოსს დიდებასა, ვითარცა სამოსელსა? ვინ განზოგსს ძალსა მისსა და შემძლებელობასა? არსა ვინმე მსგავს მისა სიბრძნით? შეუსწორდებისა მას ვინმე მოწყალებით?

საკვირველად შექმნა: სხეულისა შენისა არს საქმე ხელთა მისთა. ისმინე შისი ხმა, რომელიცა არს ტკბილ სასმენლად. გულისხმის მყოფელი მისი სიმდაბლით დაიმტკიცებს განსვენებასა გულისა თვისისასა.

ა. განხილვა თავისა თვისისა.

იფიქრე თავს შორის თვისსა, ჵ მოკვდავო კაცო, და გასინჯე, თუ რასათვის დაბადებულხარ შენ! განიხილე გულსმოდგინებით ძალი შენი, განსჭვრიტე ყოველივე საჭიროი შენი, იფიქრე ყოვლისა მისთვის, რომელთაგანცა გარე-მოცულხარ, და ამის მიერ ისწავლო თანამდებობასა ცხოვრებისა შენისასა, და გზა შენი იქმნების საიმედო.

ნუ აღაღებ ბაგეთა შენთა და ნურასა ჰყოფ პირველად, ვიდრემდის არა განიხილო ძალი სიტყვისა შენისა და შედეგი თვითოეულისა საქმისა შენისა, რომლის მიერ განშორდებ ყოველსა ავსა საქმესა, და სირცხვილი განვალს სახლით შენით, სინანული არღარა ისტუმრებს შენთანა, და მწუხარება არა იმსახურებს სახესა პირისა შენისასა.

ურცხვი არა აღვირასხამს ენასა თვისსა, რომელიც უბნობს ნიადაგ, და განეხვევის თვისის უგუნურ სიტყვით მახესა, ვითარცა. კაცი მლტოლვარე, რომელიცა ჰრბის გზასა ზედა განურჩევლად და შთავარდების ორმოსა შინა. ესრეთვე შეემთხვევის კაცსა მოქმედსა საქმისასა განურჩევლად.

ისმინე ხმა განმსინჯველისა, ვინაითგან სიტყვა მისი არს სიტყვა სიბრძნისა და კვალი მისი მიგიყვანს შესაბამსა გზასა და მშვიდობით მიაღწევ სასურველისა შენისადმი.

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

— ეს არის სასაფლაოდამ მოვდივარ. ჩემმა მეგობარმა ცოლი დაასაფლავა. საბრალო კაცი ღამის დარდით მოკვდეს. შეგეცოდება რომ შეხედო.

— ახალი ცოლ-ნათხოვი ეყოლა.

—

— როგორ იმოქმედა შენზედ გუშინდელმა მიწის ძვრამ.

— ჩემზე?! მე სწორედ გითხრა გამიგია-რა. მე ასე მეგონა მთვრალი ვარ მეთქი.

# წვრილი ამბავი

—

დაუჯერებელი ამბავი. ნიუ-იორკში ველოსიპედით ირბინეს ამას წინად მთელი ექვსი დღე. ერთმანერთს გაეჯიბრა რამდენიმე კაცი ველოსიპედით. მეტოქეებს უფლება ჰქონდათ, რამდენიც უნდოდათ, იმდენი დაესვენებიათ, მაგრამ ამ უფლებით, რასაკვირველია, არც ერთ მათგანს არ უსარგებლნია იმ შიშით, ვაი თუ ჩემ დასვენებაში ძალიან გამასწრონ სხვებმაო.

ამ გაჯიბრებიდგან გამარჯვებული გამოვიდა ვიღაც მილერი, რომელმაც აჯობა თავის მეტოქეებს სამი დღის განმავლობაში. მეოთხმოცდა ათე და მეასე საათს შუა მას განსაცდელი ელოდა ულერისაგან, რომელმაც გაასწრო მას, მაგრამ შემდეგ ამ უკანასკნელს დაეძინა ველოსიპედზე და დავარდა.

იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთს არა ჩვეულებრივ ძალ ღონის დახარჯვას ჯანისთვის არ ვიგდებო, მილერმა ათოცდა თვრამეტი საათის შემდეგ, რაკი დარწმუნდა, რომ ყველა თვის მეტოქეს აჯობა, გაჩერდა, ჩამოხტა ველოსიპედიდან და ათი ათასი მაყურებლის თანადასწრებით ჯვარი დაიწერა ქუნევიევა განსონის ქალზე.

ამ ჩვეულებრივი ქორწილის ამბავი წინ და წინვე იყო გამოცხადებული და ნიუ-იორკელები ერთმანერთს ცხვირპირის მტვრევით ეცილებოდნენ ლოჟებზე, რომ უთუოდ დასწრებოდნენ ამ საინტერესო ქორწილს. ჯვარის წერის შემდეგ მილერი ხელ-მეორედ მოახტა ველოსიპედს და შეუჩერებლივ ირბინა, სანამ ლელოს გაიტანდა. ბოლოს ასორმოცი საათის გასვლის შემდეგ, მილერი შეჩერდა, ჩამოხტა ველოსიპედიდან სხვის დაუხმარებლად, მკლავი მკლავში გაუყარა თავის მეუღლეს და არხეინად გასწია შინ.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 დეკემბერი

**პარიზი.** „პატრიოტთა ლიგის“ საზოგადო კრებაზე არჩეულ იქმნა ლიგის პრეზიდენტად დერულედი.

**კანეა.** აღმასრულებელი კომიტეტი დათხოვნილ იქანა. სფაკიანაკისმა არ მიიღო ბატონიშვილის გიორგის მინდობილება, რადგან დღევანდელ გარემოებაში მისი მაგიერი კაცის შოვნა ძნელია, ამის გამო ბატონიშვილმა სფაკიანაკისი დეპეშით მიიწვია.


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე, იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წ.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან.; ნახევარი წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მ. სამი თვით გაუგზავნელად 2 მ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამი შაური. ხელის-მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილადაც გამოგზავნონ.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (სასახლის ქ., სათავად-აზნ. ქარვ.) და თვით „კვალის“ რედაქციაში — არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «Квали». (10—3)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

— ყოველთვიური მეათე —

გამოვა 1899 წელსაც თვე ი ერთხელ იმავე პროგრამით.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომრის ფასი ტფილისში 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში — „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго жуннала «Джеджили». (10—2)


# რკინის გზის მიმოსვლა

ბათომიდან ბაქომდე

| | № 2 გადის | № 4 გადის |
|---|---|---|
| | დილით | საღამ. |
| ბათომი . . | 8.30 | 8.40 |
| სამტრედია . | 11.48 | 12.32 |
| რიონი . . | 12.46 | 1.44 |
| ყვირილა . . | 1.44 | 2.52 |
| შორაპანი . . | 1.55 | 3.07 |
| მიხაილოვი . | 5.12 | 6.12 |
| გორი . . . | 6.28 | 7.31 |
| მცხეთა . | 7.57 | 9.11 |
| ტფილისი . . | 9.15 | 11.20 |
| აღსტაფა . . | 12.01 | 2.50 |
| ელისავეტოპოლი | 3.02 | 6.22 |
| ევლახი . | 5.00 | 8.41 |
| აჯიქაბული . . | 9.30 | 1.48 |
| ბაქო . . . | მოდ. 12.59 | 5.42 |

ბაქოდან ბათომამდე

| | № 1 გადის | № 3 გადის |
|---|---|---|
| | დღისით | საღამ. |
| ბაქო . . . | 4.15 | 10.50 |
| აჯიქაბული . . | 7.55 | 2.42 |
| ევლახი . . | 12.25 | 7.49 |
| ელისავეტოპოლი | 2.50 | 10.28 |
| აღსტაფა . . | 5.44 | 1.54 |
| ტფილისი . . | 9.20 | 6.10 |
| მცხეთა . . | 10.01 | 7.06 |
| გორი . . . | 11.42 | 8.55 |
| მიხაილოვი . | 1.06 | 10.29 |
| შორაპანი . . | 3.40 | 1.08 |
| ყვირილა . . | 3.58 | 1.26 |
| რიონი . . . | 4.57 | 2.32 |
| სამტრედია . | 5.55 | 3.55 |
| ბათომი . . | მოდ. 8.52 | 7.00 |

ტფილისიდან ბორჯომამდე

| | გადის № 5 |
|---|---|
| | დღისით |
| ტფილისი . . | 3.10 |
| მცხეთა . . . | 3.58 |
| გორი . . . . | 5.49 |
| მიხაილოვი . . | 7.20 |
| ბორჯომი . . . | მოდ. 8.30 |

ბორჯომიდან ტფილისამდე

| | გადის № 6 |
|---|---|
| | ღამით |
| ბორჯომი . . . | 3.25 |
| მიხაილოვი . . | 4.55 |
| გორი . . . . | 6.08 |
| მცხეთა . . . | 7.39 |
| ტფილისი . . | მოდ. 8.15 |

სამტრედიიდან ფოთამდე

| | № 15 გადის | № 17 გადის | № 19 გადის |
|---|---|---|---|
| სამტრედია . | 4.40 | 11.55 | 7.30 |
| აბაშა . . | 5.12 | 12.27 | 7.59 |
| ახალ-სენაკი . | 5.50 | 1.10 | 8.32 |
| ჭალადიდი . | 6.55 | 2.13 | 9.33 |
| ფოთი . . | მ. 7.30 | 2.50 | 10.08 |

ფოთიდან სამტრედიამდე

| | № 14 გადის | № 16 გადის | № 18 გადის |
|---|---|---|---|
| ფოთი . . | 11.45 | 6.15 | 8.55 |
| ჭალადიდი . | 12 30 | 6.58 | 9.35 |
| ახალ-სენაკი , | 1.40 | 8.00 | 10.35 |
| აბაშა . . | 2.15 | 8.30 | 11.05 |
| სამტრედია . | მ. 2.42 | 8.55 | 11.30 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Декабря 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი მ. ბუნია